



შრომითი პოლიტიკა ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსის წინასაარჩევნო პროგრამაში

მინიმალური ხელფასისა და ღირსეული შრომის პირობების დაწესება:

- “კანონით დაწესდება მინიმალური ხელფასი. იგი განისაზღვრება საშუალო ხელფასის 45 პროცენტის ოდენობით. დღეის მდგომარეობით ის იქნება 500 ლარი. დაწესდება საათობრივი ანაზღაურება. ეს თანხა ყოველწლიურად გაიზრდება საშუალო ხელფასის ზრდასთან ერთად. ზეგანაკვეთური შრომა ანაზღაურდება 1,5 კოეფიციენტით, ხოლო ღამის შრომა -1,25 კოეფიციენტით.”

უმუშევრობის დაზღვევის სისტემის ამოქმედება:

- „ქვეყანაში ამოქმედდება უმუშევრობის დაზღვევის სისტემა, რომელიც სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში სულ მცირე 6 თვით უზრუნველყოფს ადამიანისა და მისი ოჯახის ფინანსურ დაცულობას. თუ მინიმუმ 6 თვე დასაქმებული იხდოდა უწყვეტად საშემოსავლო გადასახადს, საშემოსავლო გადასახადიდან 2% მიემართება უმუშევრობის დაზღვევაზე და სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში პირველი 3 თვე აუნაზღაურდება ხელფასის 70%, ხოლო მეორე 3 თვე - ხელფასის 50%.“
- „შშმ მომვლელ პირებზე (ოჯახის წევრების ჩათვლით) დაინიშნება მინიმალური ხელფასი.“
- „თუ თქვენი თვიური ხელფასი არ აღემატება 1000 ლარს, იგი დაიბეგრება არა 20, არამედ 10 პროცენტით. ამ შეღავათით ისარგებლებს 500000 ადამიანი. თუ თქვენი თვიური ხელფასი 1000-დან 1500 ლარამდეა, იგი დაიბეგრება არა 20, არამედ 13 პროცენტით. ამ შეღავათით ისარგებლებს 120000 ადამიანი. გაზრდილი საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრება მხოლოდ 5 000 ლარზემეტი თვიური ხელფასი.“

Labour Policies in Solidarity Alliance of Georgia's Platform

Establish minimum wage and decent working conditions:

- “The law will establish a minimum wage. It will be set at 45 percent of the median elf. As of today, it will be 500 GEL. Hourly pay will be imposed. This amount will increase every year with the increase of the average salary. Overtime work will be remunerated at a rate of 1.5, while night work will be remunerated at a rate of 1.25.”

Launch of the unemployment insurance system:

- “Unemployment insurance system will be launched in the country, which will provide financial protection for a person and his family for at least 6 months in case of job loss. If the employee has been continuously paying income tax for at least 6 months, 2% of the income tax will go to unemployment insurance and in case of job loss, the first 3 months will be reimbursed 70% of the salary, and the second 3 months - 50% of the salary.”
- "Minimum wage will be set for caregivers of people with disabilities (including family members)."
- “If your monthly salary does not exceed 1,000 GEL, it will be taxed not at 20, but at 10 percent. 500,000 people will benefit from this benefit. If your monthly salary is from 1,000 to 1,500 GEL, it will be taxed not 20 but 13 percent. 120,000 people will benefit from this benefit. Increased income tax will be taxed only for more than 5,000 GEL monthly salary.”